ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის

სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სხდომის ჩატარების თარიღი: **2022 წლის 25 ოქტომბერი, 14:00 საათი.**
სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
თვითმმართველობის შენობა, მეორე სართული, საკონფერენციო დარბაზი.

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციიც წევრთა რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ქალბატონი, თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ

ქალბატონი, თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი, რუსლან გვეტაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების
უფროსი სპეციალისტი

4. ქალაქ ქუთასის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების „ბაგა-ბაღების“ დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო

სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, ბაგა-ბაღებში ბავშვის /აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის, საქმიანობის ორგანიზების სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის წესისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი, რუსლან გვეტაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის იურიდიული განყოფილების
უფროსი სპეციალისტი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

ქალბატონი, თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი, თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავჯდომარე

თ. ჯუღელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 19

სხდომის ჩატარების თარიღი: 2022 წლის 25 ოქტომბერი;

სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის;

თვითმმართველობის შენობის მეორე სართული, საკონფერენციო დარბაზი.

სხდომას თავმჯდომარეობდა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები, ბატონები: ბასილაძე გია, ლილუაშვილი პაატა, მხეიძე დიმიტრი, ქებულაძე ბექა, მახარაძე ბაქარი და ქალბატონი არველაძე ხათუნა.

სულ: 7 წევრი

არ ესწრებოდნენ - ბატონები: მესხი თედო; ქვაჩაკიძე რომანი; გაბუნია კახაბერი; შალამბერიძე ლაშა.

სულ: 4 წევრი

სხდომა უფლებამოსილია, რადგანაც სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების წარმომადგენელი, ბატონი **რუსლან გვეტაძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა და წარმოადგინა **დღის** წესრიგის შემდეგი **პროექტი:**

1. ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა რეგისტრაციაში გატარების შესახებ

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ

3 .„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

4.ქალაქ ქუთასის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების „ბაგა-ბაღების“ დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, ბაგა-ბაღებში ბავშვის /აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის, საქმიანობის ორგანიზების სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის წესისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

6.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის** დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მე- სხდომის **დღის წესრიგი დამტკიცდეს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი:

1. „ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა რეგისტრაციაში გატარების შესახებ“

საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა:

თეა ჯუღელი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30[2] მუხლის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 16[1] მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-15 სხდომაზე რეგისტრაციაში გასატარებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას: შუშანია გრიგოლ, მანაგაძე გაგა, ხურციძე ქეთევან, ქვაჩაკიძე რომან, მესხი თედო, გაბუნია კახაბერ, კილაძე გიორგი, არველაძე ხათუნა, შალამბერიძე ლაშა, ბიბილეიშვილი ნინო, ბახტაძე დავით, ფხაკაძე დარეჯან, ბრეგაძე ბესიკ, კოხრეიძე ანა, არჩაია ელეონორა, ჩიკვაშვილი ნინო, გურული კობა.

ღია კენჭისყრის შედეგად, თავი შეიკავა: ქალბატონმა, ხათუნა არველაძემ, კომისიის სხვა წევრებმა წარმოდგენილ საკითხს მხარი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი:

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“

საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა:
თეა ჯუღელი: ორგანული კანონის თვითმმართველობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარვუდგეთ პროექტს დამტკიცდეს ქალაქ ქუთასის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების წესი და ზღვრული ოდენობა დანართის შესაბამისად.

ღია კენჭისყრის შედეგად, თავი შეიკავა: ქალბატონმა, ხათუნა არველაძემ, კომისიის სხვა წევრებმა წარმოდგენილ საკითხს მხარი დაუჭირეს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი:

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების წარმომადგენელმა, ბატონმა რუსლან გვეტაძემ:
რუსლან გვეტაძე: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციის და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი, სადაც განისაზღვრა რეგისტრაციის კრიტერიუმები, პროცედურები და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობები. ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 სექტემბრის N44.4421221729 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით

უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებული იქნა კონკურსი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აღმოჩნდნენ მარტოხელა ონკოლოგიური დაავადების მქონე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები, რომლებმაც კონკურსში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს ზემოთ მითითებული დადგენილებით დადგენილი წესის მოთხოვნებიდან გამომდინარე რაც მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართში. წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღების ძირითად მიზეზს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უსახლკარო მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, კანონშესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ღია კენჭისყრის შედეგად, თავი შეიკავა: ქალბატონმა, ხათუნა არველაძემ, კომისიის სხვა წევრებმა წარმოდგენილ საკითხს მხარი დაუჭირეს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი:

4. „ქალაქ ქუთასის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების „ბაგა-ბაღების“ დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, ბაგა-ბაღებში ბავშვის /აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის, საქმიანობის ორგანიზების სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის წესისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ“

საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების წარმომადგენელმა, ბატონმა რუსლან გვეტაძემ:

რუსლან გვეტაძე: დღეის მდგომარეობით ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა - ბაღების გაერთიანების" ფილიალების საქმიანობის ორგანიზება და სასწავლო — აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესები და სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება „ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა – ბაღების გაერთიანების“

ფილიალების საქმიანობის ორგანიზების სასწავლო – აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესებისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 იანვრის №463 განკარგულებით . ზემოაღნიშნული განკარგულება მოძველდა და მასში ასახული სახები საჭიროებს როგორც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ცალკეული დებულებების განვრცობასა და დაკონკრეტებას, ასევე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალა სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავების, სკოლამდელ აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის შეფასების, ანგარიშების სისტემის შემუშავების მიზნით ნორმატიული აქტის მიღება.
გია ბასილაძე: აღნიშნული საკითხი სასურველია წარმოადგინოს, ქალაქის მერის მოადგილემ, სამსახურის უფროსმა და გაერთიანების ხელმძღვანელმა.
თეა ჯუღელი: ვფიქრობ, მართებული იქნება, ეს საკითხი უკეთ შევისწავლოთ და მოვისმინოთ მომავალ კომიიის სხდომაზე.

აღნიშნული საკითხის მოსმენა გადაიდო მომავალ სხომამდე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი:

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“

თეა ჯეღელი:

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, ხმათა უმრავლესობით მოიწონე იურიდიულ საკითხთა კომისიის ანფგარიში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი:

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს გრიგოლ შუშანიას პირადი განცხადების საფუძველზე ვადამდე ადრე, კერძოდ 2022 წლის 1 ნოემბრიდან შეუწყდეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის უფლება მოსილება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ 2022 წლის 1 ნოემბრიდან არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კილაძე. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნას განკარგულებაში.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თ. ჯუღელი**